უსამსახუროდ თუ დავრჩები, სერიალებში ვითანამშრომლებ

*პოპულარული ტელესერიალის „ძილის წინ" მოძლოდინე მაყურებელი 29 ოქტომბერს საოცრების მოწმე გახდა. „მოამბე 23 საათზე" დამთავრების შემდეგ ეთერში კვლავ ინგა გრიგოლია გამოჩნდა ისევ „მოამბესთან" ერთად. ამ ფაქტმა თურმე უამრავი მაყურებელი გააცხარა. ალბათ, ტელევიზიაშიც აწკრიალდებოდა სატელეფონო ზარები, **ინგა გრიგოლიას** სასწრაფოდ რომ არ წარედგინა ეკრანზე თავისი სტუმრები — ლელა დვალიშვილი და ჟურსაჩე დიდია. ბევრს ფილმის ეს სერია ჩვეულებრივი „მოამბე" ეგონა. მოკლედ, ყველაფერს თავად ინგა მოგვითხრობს:*

— ეს იყო ფილმის ერთ-ერთი სერია და შეიძლება ითქვას, არაორდინარული სახით ჩემი გადაცემა, ამიტომაც გავიდა ეთერში. თანაც, ეს გახლავთ ჩანაწერი, ჩემი „მოამბე" კი, ერთად-ერთხელ გავიდა ეთერში ჩანაწერის სახით. ზაფხულში ბავშვი უნდა წამეყვანა აგარაკზე და ორშაბათის გადაცემა შაბათს ჩავწერეთ.

— რამე კურიოზი ხომ არ ახლდა ამ შემთხვევას?

— საერთოდ ჩანაწერებს სულ ახლავს კურიოზები. მაშინ ორი სტუმარი მყავდა. ვიზაჟისტი ჩვეულებრივ მაკიაჟს პირდაპირ ეთერში გასვლამდე აკეთებს. იმ დღეს კი, გადაცემის ჩაწერის პროცესში გამომეცხადა ვიზაჟისტი და შეუდგა ჩემი ერთ-ერთი სტუმრის ფუნჯით გაპუდვრას. როლში შესულს თავი პირდაპირ ეთერში მეგონა და თავზარი დამეცა. გვიან მივხვდი, რომ ჩაწერა მიმდინარეობდა, ორშაბათს, კი გულგახეთქილი ვუყურებდი გადაცემას. სულ მეგონა, რომ იმ კადრის ამოჭრა დაავიწყდებოდათ.

— სერიალში როგორ მოხვდი?

— ვაკის არჩევნების შემდეგ მთხოვეს, ჩემს სტუდიაში გაეკეთებინათ ფილმის სერია. სიამოვნებით დავთანხმდი.

— ეს შენი გადაცემის რეკლამაც იყო, ხომ მეთანხმები?

— დიახ, სოფო მოსიძე ხუმრობდა, თუ გინდა პოპულარობა, ამ სერიალში უნდა მიიღო მონაწილეობაო. საოცრად პოპულარული სერიალია. ხშირად მირეკავს მაყურებელი და მთხოვს — შენი გადაცემისათვის განკუთვნილ დროს ნუ აცილებ და ნერვებს ნუ გვიშლიო. ძალიან ვისიამოვნე ამ სერიის ჩაწერისას. ორი ძალიან მხიარული და ნიჭიერი მსახიობი იჯდა ჩემს სტუდიაში სტუმრად და თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. უმოკლეს დროში გადავიღეთ ყველაფერი. საღამოს კი, როცა ჩემი ნამდვილი გადაცემა დაიწყო, მეგონა, რომ მეორედ გავდიოდი იმ დღეს პირდაპირ ეთერში.

— ინგა გრიგოლიას როლში ყოფნა არ გაგიჭირდა?

— არა, მშვენივრად მოვერგე ჩემს როლს, მაგრამ სხვის როლს როგორ შევასრულებ, ეგ ნამდვილად არ ვიცი. ძალიან საინტერესო იყო ფილმის გადაღების პროცესი, სამ-ოთხჯერ გადაღება შევწყვიტეთ იმის გამო, რომ ტექსტს გადაღების დროს ვეცნობოდით და ყველაფერი სპონტანურად ხდებოდა. სიცილის ბაცილასაც ალბათ იმიტომ გავუძელი, რომ თავი საქმიან ამპლუაში მეგონა. თუმცა, ჩემს გადაცემებში ორჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა სიცილისაგან თავი ვერ შევიკავე.

— ვინ გაგამხიარულა?

— ზვიადისტებსა და პოლიციელებს შორის რომ შეტაკება მოხდა, ვახტანგ ბოჭორიშვილი მოვიწვიე ეთერში. მოღუშული უყურებდა ბატონი ვახტანგი დარბევის კადრებს. ძალიან მიყვარს ეს პიროვნება. სოსო ალავიძემ კადრში განაცხადა, ეს ყველაფერი ვახტანგ ბოჭორიშვილის მოწყობილიაო და ამაზე იფეთქა ჩემმა სტუმარმა — ეს რა თქვა სოსო ალავიძემ, ეგ უტვინო ეგაო და ლანძღვა-გინების ისეთი კორიანტელი ნამოვიდა, რომ სიცილი ამივარდა. როცა ბატონ ვახტანგს დაწყნარებას ეთხოვდი, მუშტს მაგიდაზე მიკაკუნებდა და გაიძახოდა, — საიდან გაჩნდი, შვილო, ასეთი კომკავშირელიო. მოკლედ კითხვას ველარ ვსვამდი, ისე ვიცინოდი. მეორე შემთხვევას შეგნებულად არ ვიხსენებ.

— სერიალში „ძილის წინ" გამოჩენის შემდეგ მაყურებლებმა არ დაგირეკეს?

— ძალიან ბევრმა და აღმოჩნდა, რომ ყველამ ისიამოვნა. ისიც ვთქვი, თუ ოდესმე უსამსახუროდ დავრჩები, სერიალებში დავიწყებ თანამშრომლობას-მეთქი.

— ამ ფილმს სინამდვილესთან ჰქონდა საერთო? ამბობენ, ირინა სარიშვილი და მიშა სააკაშვილი გააშარჟესო.

— სინამდვილესთან რომ საერთო არ ჰქონოდა, ეს სერია ალბათ ვერ შეიქმნებოდა, თუმცა ეთერში ფეხსაცმელს არავინ იხდის ოპონენტის საცემად, შეიძლება, მაგასაც მოვესწრო. რაც შეეხება ირინას და მიშას, ძალიან მინდოდა, მათი დუეტი შემდგარიყო ჩემს გადაცემაში, მაგრამ მიშას უარის გამო ეს არ მოხდა. ამიტომ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს გაშარჟებული სერია ჩემი სურვილის ასრულების მცდელობაც იყო.

ეკა ლომიძე

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
საგაზეთო და ოფსეტური
ყველაზე
იაფად
ადგილზე მიწოდებით
ტელ: 71-04-14; 877-43-28-62

გარანტია 1 წელი
ინტერნეტში ჩართვა
კომპიუტერები,
პრინტერები,
სკანერები,
ორგტექნიკა,
აქსესუარები,
სახარჯი
მასალები.
პროგრამების
ინსტალირება,
კონსულტაციები.
☎ 92-02-14
Fax 22-59-06
მცხეთის ქუჩა №2
კომპიუტერის მაღაზია

ორშაბათი
12 ნოემბერი

[illegible]

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ". Сериал. 11.15, 13.15 Сериал "КАМЕНСКАЯ - НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ" 12.15 Док. детектив 12.45 Ералаш 12.50 Библиомания 14.20 Серебряный шар 15.00 КВН 16.15 Возможно все 16.35 Звездный час 17.00 Фильм "ВЕЧНЫЙ ЗОВ" 18.00 Большая стирка 19.25 С легким паром 21.00 Жди меня 21.00 Кто хочет стать миллионером? 22.00 Время. 22.35 Фильм "СЛЕДУЮЩИЙ" 23.40 Независимое расследование 01.00 На футболе 01.30 "Ночная смена". Д. Диброва

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Москва-Минск 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА" 13.30 Вести-медицина 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "FM И РЕБЯТА" 18.30 Фильм "ОНА ВАС ЛЮБИТ" 21.55 Детектив "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. СЧИТАЛКА" 00.00 Вести + Подробности 00.45 Дежурная часть 01.00 Фильм "ПЕРЕХВАТЧИКИ"

სამშაბათი
13 ნოემბერი

[illegible]

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15 Фильм "СЛЕДУЮЩИЙ" 12.20 С легким паром 12.50 Библиомания 13.15 Фильм "ГОНКА С ПРЕСЛЕДОВАНИЕМ" 14.55 Независимое расследование 15.35 Дисней-клуб 16.15 Семь бед - один ответ 16.35 Шутка за шуткой 17.00 Фильм "ВЕЧНЫЙ ЗОВ" 18.00 Большая стирка 19.25 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ" 21.00 "Слабое звено" 22.00 Время. 22.35 Фильм "СЛЕДУЮЩИЙ" 23.40 Док. фильм 01.00 Цивилизация 01.30 "Ночная смена". Д. Диброва

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 "Рядом с тобой" 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Фильм "РАЗ НА РАЗ НЕ ПРИХОДИТСЯ" 21.55 Сериал "МАРОСЕЙКА, 12" 00.00 Вести + Москва 00.45 Док. фильм 01.40 Комедия "СЛАДКИЙ И ГАДКИЙ"

ოთხშაბათი
14 ნოემბერი

[illegible]

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15, 22.35 Фильм "СЛЕДУЮЩИЙ" 12.20 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ" 12.50 Библиомания 13.15 Фильм "НА ДРЕВО ВЗГРОМОЗДЯСЬ" 15.00 Ералаш 15.15 Док. фильм 16.15 Семь бед - один ответ 16.35 Программа 100% 17.00 Фильм "ВЕЧНЫЙ ЗОВ" 18.00 Большая стирка 19.25 Док. фильм 21.00 Кто хочет стать миллионером? 22.00 Время. 23.45 Как это было 01.00 Футбол. Товарищеский матч. Латвия - Россия

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Мультфильм 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Сам себе режиссер 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "FM И РЕБЯТА" 18.30 Фильм "ПРО БИЗНЕСМЕНА ФОМУ" 21.55 Детектив "КОБРА. ЧЕРНАЯ КРОВЬ" 00.00 Вести + Подробности 00.45 Фильм "ТРИСТА ЛЕТ СПУСТЯ"

ხუთშაბათი
15 ნოემბერი

[illegible]

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30 Новости. 10.15, 20.00 "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ" 11.15, 22.35 Фильм "СЛЕДУЮЩИЙ" 12.20 Сами с усами 12.50 Библиомания 13.15 Фильм "ВООРУЖЕН И ОЧЕНЬ ОПАСЕН" 15.05 Ералаш 15.15 Как это было 16.15 Что за как 15.35 КОАПП 17.00 Фильм "ВЕЧНЫЙ ЗОВ" 18.00 Большая стирка 19.25 Сами с усами 21.00 "Слабое звено" 22.00 Время. 23.45 Человек и закон 01.00 Формула власти 01.30 "Ночная смена"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.30 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Открытая таможня 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Сам себе режиссер 14.30 Что хочет женщина 15.30 Фильм "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Комедия "ЗА ПРЕКРАСНЫХ ДАМ" 21.55 Фильм "КОБРА. ЧЕРНАЯ КРОВЬ" 00.00 Вести + Подробности 00.45 Фильм "СИМПАТИКО"

პარასკევი
16 ნოემბერი

[illegible]

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.35 Новости. 10.15, 20.00 "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ". Сериал. 11.15 Сериал "СЛЕДУЮЩИЙ" 12.20 Сами с усами 12.50 Библиомания 13.15 Фильм "БОГАТАЯ НЕВЕСТА" 14.55 Спецрепортаж 15.15 Человек и закон 16.20 Мультфильм 18.00 Большая стирка 19.25 Док. детектив 21.00 Поле чудес. 22.00 Время. 22.35 Фильм "НЕ ВАЛЯЙ ДУРАКА" 01.00 Триллер "НОЖНИЦЫ"

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 21.00 Вести. 07.15 "СЕЛЕСТА, ВСЕГДА СЕЛЕСТА". Сериал. 07.45 "Православный календарь". 08.15 "Телепузики". 08.40 Семейные новости. 09.15 "Экспертиза РТР" 09.30 Национальный доход 09.35 Тысяча и один день 10.15, 20.00 Сериал "МОСКОВСКИЕ ОКНА" 11.05 Новая "Старая квартира" 12.30 "САНТА-БАРБАРА". 13.25 Моя семья 14.30 "Что хочет женщина 15.30 Сериал "КРЫЛЬЯ ЛЮБВИ" 16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ" 17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.30 Планета КВН 19.00 Пресс-клуб 21.55 Все звезды Театра имени Вахтангова в юбилейном капустнике 00.15 Фильм "ШИЗОФРЕНИЯ"

შაბათი
17 ნოემბერი

[illegible]

09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости 09.10 Слово пастыря 09.25 Зов джунглей 09.50 Ералаш 10.05 Эх, Семеновна 10.50 Библиомания 11.10 Смехопанорама 11.45 Смак 12.05 КВН 13.05, 17.35 Ералаш 13.15 В мире животных 14.00 "Фактами" 14.45 Здоровье 15.30 Дисней-клуб 16.10 Фильм "РАССЛЕДОВАНИЕ" 17.40, 19.15 Концерт 19.50 Кто хочет стать миллионером? 20.50 Последний герой 22.00 Время 22.35 Комедия "ШЕСТЬ ДНЕЙ, СЕМЬ НОЧЕЙ" 00.30 Песня года. Осень 02.00 Фильм "СОСЕДИ"

07.40 "Диалоги о рыбалке" 08.05 Сериал "ЗАТЕРЯННЫЙ МИР" 09.00 "Папа, мама, я - спортивная семья" 09.45 Телепузики 10.10 Золотой ключ 10.30 Здоровье и жизнь 11.00 Почта РТР 11.30 Доброе утро, страна 12.05 Сто к одному 12.55 "Рядом с тобой" 13.50 Фильм "ТАЙНЫЙ АГЕНТ" 15.00, 21.00 Вести. 15.20 Фильм "СКАЗАНИЕ О ЗЕМЛЕ СИБИРСКОЙ" 17.00 Концерт 19.00 Моя семья 21.25 Зеркало 22.00 Фильм "ТЕОРИЯ ЗАГОВОРА" 00.40 Фильм "ДРАКУЛА-2000" 02.35 Горячая десятка

კვირა
18 ნოემბერი

[illegible]

09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Служу России 09.40, 15.30 Дисней-клуб 10.05 Утренняя звезда 10.50 Библиомания 11.10 Непутевые заметки 11.30 Пока все дома 12.05 КВН-2001 14.20, 17.40 Ералаш 14.30 Сами с усами 15.10 Умники и умницы 16.10 Фильм "КЛЮЧИ ОТ НЕБА" 17.50 Живая природа 19.30 Комедия "ОПЕКУН" 21.10 Фильм "МИРОТВОРЕЦ" 23.30 Времена 00.45 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ" 01.45 Фильм "ЦВЕТЫ КАЛЕНДУЛЫ"

07.55 Фильм "СЧАСТЛИВЫЙ НЕУДАЧНИК" 09.25 Телепузики 09.50 Русское лото 10.40 "ТВ-Бинго шоу" 11.20 Доброе утро, страна 12.00 Сам себе режиссер 12.55 Городок 13.35 Федерация 14.10 Парламентский час 15.00, 21.00 Вести 16.00 Диалоги о животных 16.25 Вокруг света 17.30 Мультфильм 17.50 Фильм "КОМИССАР РЕКС" 18.55 ТВ-Бинго новости 19.00 Два рояля 19.55 Аншлаг 21.55 Фильм "ВЗАПЕРТИ" 00.10 Фильм "ТВИН ПИКС" 01.15 Спорт за неделю

ერთ მშვენიერ დღეს მოვხვდი ე.წ. „ზღვის ტელევიზიაში"

*ტელემაყურებლის თვალი კარგა ხანია შეეჩვია იმ ფაქტს, რომ პირველი არხის წამყვან გადაცემათა ტიტრებში რეჟისორის გასწვრივ წერია — **სერგო გულიაშვილი**. სერგომ უამრავი რედაქცია გამოიცვალა. ტელევიზიაში გატარებული რეფორმების შემდეგ ლიტერატურულ-თეატრალური, სამხატვრო და ხალხური პროგრამების აღმსრულებელი პროდიუსერი გახდა. პარალელურად გოგი ჩართოლანთან ერთად მუშაობს გადაცემაზე „ქიმერიონი"...*

— როგორც ვიცი, ათი წლის წინ ტელევიზიის პირველ არხზე ჩვიდმეტი წლის ასაკში უკვე რეჟისორის თანამდებობაზე მოხვედი და მას შემდეგ უამრავ გადაცემაზე იმუშავე. როგორ მოახერხე?

— ტელე და კინოკამერასთან ურთიერთობას ბავშვობიდან მივეჩვიე. პიონერთა სასახლის კინომოყვარულთა სტუდიის „პიონერფილმში" გადავიღე პირველი ფილმი ცხრა აპრილის თემაზე. შემდეგ დაიწყო გამოსვლები, მიტინგები. დავდიოდი და ყველაფერს ვიდეოკამერით ვაფიქსირებდი. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი მასალებით მოვხვდი ე.წ. „ზღვის ტელევიზიაში" (თბილისის ზღვაზე), ქალბატონ თამილა ანჯაფარიძესთან. მერე უკვე მათთან ერთად გავაგრძელე მუშაობა. იმ პერიოდში ტელევიზიის მუშაკებს ტელევიზიაში არ უშვებდნენ და ერთადერთი ოაზისი „ზღვის ტელევიზია" გახლდათ. შეუსვენებლივ ვმუშაობდი, ვაგროვებდი საარქივო მასალას. პოლიტიკაში ერთი წამითაც კი არ ჩამიყვია ცხვირი. უბრალოდ, მოვლენებს ვაფიქსირებდი. კარგად მახსოვს 21 დეკემბრის ღამე — ჩემთან ბატონი თენგიზ სიგუა მოვიდა და მთხოვა, სახლში წავსულიყავი და ცოტა ხანს დამესვენა. ვიუარე, მაგრამ თავისი გაიტანა. გამთენიისას თბილისში ომი დაიწყო. რუსთაველზე ისეთ ადგილას ვიდექი და ვმუშაობდი, პირველი გავარდნილი ტყვია აუცილებლად მე მომხვდებოდა. პირველ იანვარს „მინისქვეშეთიდან" ტელევიზიას დაუბრუნდნენ გაყრილი თანამშრომლები და მათ მეც შევუერთდი. მას შემდეგ ტელევიზიის პირველი არხისთვის არ მიღალატია.

— როცა ფილმზე ან სპექტაკლზე საუბრობ, გასაგებია რეჟისორის როლი, მაგრამ როცა არსებობს გადაცემის წამყვანი და ავტორი, ბევრისთვის გაუგებარია, რა ფუნქცია ენიჭება ტელერეჟისორს...

— ერთ პარადოქსულ ამბავს მოგიყვები. ერთხელ ხელში ჩამივარდა იმ პერიოდის ბროშურა, როცა ტელეკომიტეტის თავმჯდომარე ბატონი კარლო გარდაფხაძე გახლდათ. ამ ბროშურაში საშტატო ერთეულები იერარქიების მიხედვით იყო ჩამოწერილი — თავმჯდომარე, მოადგილე, მთავარი რედაქტორი, მისი მოადგილე და ასე შემდეგ... ვკითხულობდი და ვფიქრობდი — აი ახლა ამოვიკითხავ რეჟისორს, აი ახლა, მაგრამ... ვერ ვიპოვე... საერთოდ ვიტყვი, რომ ოდითგანვე ტელერეჟისორის შრომა ნაკლებად ჩანდა და ნაკლებად ფასდებოდა. ისიც გაუგებარია ჩემთვის — რას ნიშნავს პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის რეჟისორი. რეჟისორი ან ხარ, ან — არა.

— ავტორის ფუნქციაში თუ ერევი ხოლმე?

— ნაკლებად, მაგრამ თუ გადაცემა ფილმის ჟანრს უფრო განეკუთვნება, მაშინ შემოქმედებით პროცესში ვერევი. დიდი მნიშვნელობა აქვს მონტაჟსაც. მე ძალიან სკრუპულოზურად ვამონტაჟებ.

— ე.ი. მონტაჟშიც ერევი...

— ვერევი — რას ნიშნავს არ ვიცი, მაგრამ სხვა ვერ მერევა მონტაჟში. საბედნიეროდ, ისეთი კეთილშობილი მემონტაჟეები მხვდებიან, რომ თვითონ დგებიან განზე, როცა სამონტაჟოში შევდივარ. ვერ ვიტან ე.წ. „ხალტურას". ბევრისთვის შეიძლება ერთი პატარა კადრი იქით ან აქეთ, არაფერს ნიშნავდეს, ჩემზე კი, საშინლად მოქმედებს.

— ავტორებს შენ ირჩევ თუ თვითონ გირჩევენ?

— ისე აეწყო, რომ არასდროს ამირჩევია ავტორი, ფაქტობრივად, ყოველთვის თვითონ მთავაზობენ სამუშაოს. თუ ინტერესი არ გამიჩნდა, არ ღირს დათანხმება.

— ამ ცოტა ხნის წინ საკუთარი კინონამუშევარი (და არა ტელეფილმი) წარადგინე კიევში გამართულ კინოფესტივალზე და პრიზით დაბრუნდი უკან. ეს, თუ არ ვცდები, შენი სადებიუტო ფილმი იყო...

— მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ხანია ტელევიზიაში ვმუშაობ, მაინც ვამბობ, რომ უფრო „კინოშნიკი" ვარ. „დეტექტივი უგმიროდ" ჩემი საკურსო ფილმია, რომელიც 1999 წელს გადავიღე. მისი პრემიერა შედგა კიევში სწორედ ახლა გამართულ აუდიო-ვიდეო-ვიზუალური ხელოვნების ფესტივალზე და დაჯილდოვდა დიპლომით...

— ხომ არ აპირებ მიატოვო ტელევიზია და მთლიანად კინოში „გადაბარგდე"?

— ჯერ ერთი, ყველას მოეხსენება, რა დღეშია დღეს ქართული კინემატოგრაფი. ფილმების გადაღებაზე ოცნებაც არ შეიძლება ჯერჯერობით, მერე მეორეც — იმდენ ხანს ვიმუშავე აქ, რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო ტელევიზიის გარეშე. ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემს საქმეში კინოპრინციპი განვახორციელო და გადაცემა მხოლოდ გადაცემა არ იყოს. ეს იყოს პატარა ფილმი...

ეკა მახარაშვილი

MANTEX მანტექსი
Computers
კომპიუტერული ტექნიკა
ქსელები
მომსახურება, რემონტი
ინტერნეტი.
თბილისი, ჭავჭავაძის 5.
ტელ: 252848; ფაქსი: 233510